საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/101

ქ. ბათუმი 14 აგვისტო, 2020 წ.

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით“ გათვალისწინებული კონკურსანტის განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/86 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით“ გათვალისწინებული **კონკურსანტის განცხადების ფორმა** წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად.

2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი, მ. ხალვაში

დანართი N1

კონკურსანტის განცხადების ფორმა

საკონკურსო კომისიას

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

(ელექტრ. მისამართი და ტელეფონი)

განაცხადი

მსურს მონაწილეობა მივიღო ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ-ს) ---------- ფაკულტეტის შემდეგი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად -

---

(მიუთითეთ მხოლოდ ერთი აკადემიური თანამდებობა)

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ბსუ-ს წესდებას, ეთიკის კოდექსს, შინაგანაწესს, ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს“ და „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესს“.

თანხმა ვარ ბსუ-ს ადმინისტრაციის მიერ დამუშავებული იქნეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია ბსუ-სთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, ხოლო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში - შრომითი ურთიერთობის პერიოდში (მათ შორის აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე), ასევე თანახმა ვარ საკონკურსო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდეგ ჩემი საკონკურსო დოკუმენტაცია, დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, გაცემული იქნეს ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

,,უმაღლესი განათლების შესახებ’ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მოთხოვნის გათვალისწინებით საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოგიდგენთ ცნობას ჩემი ნასამართლეობის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის : (შემოხაზეთ შესაბამისი გრაფა)

- **არ ვარ** ნასამართლევი და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება **არ მაქვს** ჩამორთმეული;
- ნასამართლევი **ვარ** და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება **მაქვს** ჩამორთმეული; ნასამართლობა მოხსნილი/გაქარწყლებული მაქვს;

ქვემორე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ამ განცხადებში და თანდართულ საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არის ნამდვილი.

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

განცხადებ
ის წარმოდგენის თარიღი (დღე, თვე, წელი) ----------